



NATALI ACADEMY
NATALI GROUP

NATALI ACADEMY, კატალოგი 2023



სარჩევი

მნიშვნელოვანი თარიღები - - - - -	2
აკადემიის შესახებ - - - - -	3
მისია, ხედვა, ღირებულებები - - - - -	5
სადიპლომო პროგრამები - - - - -	6
სასერთიფიკატო პროგრამები - - - - -	10
პარტნიორები - - - - -	20
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის - - - - -	21
სტუდენტური სერვისები - - - - -	22
არაფორმალური განათლება - - - - -	23
სტუდენტთა მიღება - - - - -	24
საწარმოო პრაქტიკა - - - - -	26
აკადემიის პერსონალი - - - - -	27
კონტაქტი - - - - -	28



მნიშვნელოვანი თარიღები

- 12.07.2022 პროფესიული განთლებით დასაქმების ფორუმი
- 18.07.2022 უნარების ეკოსისტემის კვლევა და განვითარება
- 21.07.2022 საზოგადოებასთან ურთიერთობა უნარების ეკოსისტემაში
- 04.08.2022 პარიზის ესთეტიკისა და მედიცინის საერთაშორისო გამოფენა
- 06.08.2022 კურსის გამოსაშვები
- 29.08.2022 სემინარი პედაგოგებისათვის. ფრამესის ახალი პროდუქტის საერთაშორისო პრემიერა მილანში
- 1.09.2022 დაიწყო სწავლა მოკლევადიან პროგრამებზე
- 31.10.22 germaine de capuccini-ის სემინარი სტუდენტებისათვის
- 08.11.2022 დაიწყო სასწავლო პროცესი გრძელვადიან პროგრამებზე
- 18.11.2022 შრომის უსაფრთხოების ტრეინინგი
- 13-14.01.2022 germaine de capuccini-ის სემინარი კოსმეტოლოგიის, სპა თერაპიის პედაგოგებისა და აკადემიის კურსდამთავრებულთათვის
- 9.01.2023 დაიწყო სწავლა მოკლევადიან პროგრამებზე
- 24.01.2023 სემინარი აკადემიის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის
- 30.01.2023 აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა
- 08.02.2023 სტუდენტების შეხვედრა დამსაქმებელთან

აკადემიის შესახებ

NATALI ACADEMY არის NATALI GROUP-ის წევრი, რომელიც სილამაზისა და ესთეტიკის სფეროში წარმატებული მოღვაწეობის ოცდახუთ წელს ითვლის. NATALI GROUP სილამაზის სამყაროში ძლიერი, ქართული ბრენდია, რომელიც გვთავაზობს გამორჩეულ მომსახურებას, მაღალი ხარისხის პროფესიონალურ პროდუქციას, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებსა და მეგობრულ გარემოს.

ამ სახელით პირველი სილამაზის სალონი თბილისში 1995 წელს გამოჩნდა. დღეს NATALI GROUP მომხმარებელს სთავაზობს ესთეტიკისა და ჯანმრთელობის ცენტრს, რომელიც აერთიანებს საპარიკმახერო, ფრჩხილისა და კოსმეტოლოგიურ სერვისებს, ექსკლუზიურ სპას GERMAINDE DE CAPUCCINI-სგან, სოლარიუმ კლუბს, სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც საქართველოში წამყვან ევროპულ ბრენდებს წარმოადგენს, ესთეტიკურ ცენტრს NATALI ANTI AGE CLINIC და აკადემიას, სადაც გავცემთ პროფესიულ განათლებას სალონური მომსახურების სფეროში.

აკადემია დაარსდა 2008წელს „IMAGE ACADEMY N“- ის სახელით, რომელიც წარმატებით ახორციელებდა სასერთიფიკატო კურსებს, სალონური მომსახურების სფეროში. დაარსებიდან დღემდე აკადემიის კურსდამთავრებულები ითვლებიან ყველაზე ძლიერ და მოთხოვნად კადრებად, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. ისინი ადვილად საქმდებიან პრესტიჟულ სალონებში, კლინიკებსა თუ ბრენდირებულ სასტუმროებში, სადაც იქმნიან წარმატებულ პროფესიულ კარიერას. სწორედ ამ ფაქტებმა უბიძგა აკადემიის დამფუძნებლებს, მიეღოთ გადაწყვეტილება, ფორმალური განათლების სფეროში გადაედგათ დიდი ნაბიჯი, რომელსაც დღეს ყველა ნატალი აკადემიის სახელით იცნობს.



2014 წელს, აკადემიამ სახელი შეიცვალა და ეწოდა NATALI ACADEMY. აკადემიის ადმინისტრაციამ, NATALI GROUP-ის წამყვან სპეციალისტებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, სახელმწიფო სტანდარტის საფუძველზე, შეიმუშავა სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განსახორციელებლად მოიწვია საუკეთესო სპეციალისტები. 2015 წელს, NATALI ACADEMY-მ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N3 04.02.2015), ხოლო 2019 წელს გაიარა რეავტორიზაცია (გადაწყვეტილება N218 13.11.2019). აკადემია, ამ ეტაპზე ერთადერთი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს არაფორმალური განათლების აღიარებას (<https://eqe.ge/res/docs/79753.pdf>).

აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორებთან, სხვადასხვა ტელევიზიებთან, სამოდელო და მოდის ინდუსტრიის, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომლებსაც აკადემიის სტუდენტები უწევენ მომსახურებას

NATALI ACADEMY-ს უპირატესობაა, რომ რეგიონულ სილამაზის ინდუსტრიის ბაზარზე ლიდერი ჯგუფის NATALI GROUP-ის წევრია, რომელიც მსოფლიო პრემიუმ ბრენდების ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოსა და ამიერკავკასიაში. დღეს ნატალი ჯგუფი 6 მიმართულებას აერთიანებს: NATALI ANTI AGE CLINIC, COLOR DRY BAR, WELLNES LAB, SPA CONCEPT-საკონსულტაციო ჯგუფი, NATALI ACADEMY-საზოგადოებრივი კოლეჯი და სადისტრიბუციო კომპანია

კონკურენტებთან მიმართებაში, აკადემიის უპირატესობას წარმოადგენს ასევე, საკუთარი სასწავლო სტუდია-სალონის ფლობა, რომლის თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფას ახორციელებს NATALI GROUP-ის წევრი ფირმა „Natali Distribution“. ყოველივე ეს განაპირობებს, აკადემიის საგანმანათლებლო სერვისებით მოსარგებლების ხარისხიან სასწავლო-პროფესიულ პრაქტიკას.



მისია, ხედვა, ღირებულებები

ჩვენი მისიაა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის- NATALI ACADEMY მისიაა, მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სილამაზის ინდუსტრიის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას.

ჩვენი ხედვაა

აკადემიის ხედვაა, იყოს წამყვანი ადგილობრივ ბაზარზე , შექმნას ერთიანი საგანმანათლებლო და საწარმოო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს პირის პროფესიულ და ინდივიდუალურ განვითარებას, შესთავაზებს მომხმარებელსა და სპეციალისტებს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას სწავლების ყველა ეტაპზე და ხემლისაწვდომს გახდის სილამაზის მომსახურებას საზოგადოების ყველა ფენისათვის.

ღირებულებები

- ხარისხი
- მომხმარებლებზე ორიენტირებულობა
- განვითარებაზე ორიენტირებულობა
- პროფესიონალიზმი



სადიპლომო პროგრამები

პროგრამა: ვიზაჟისტი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კლიენტის მოთხოვნის, მისი ინდივიდუალური თავისებურებების (სახის ფორმა, სახისა და თვალის ფერი, გარეგნულ იერი/ტიპაჟი) და უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით, წარმატებით შესარულებენ ვიზაჟის მომსახურებას (სადღესასწაულო, საქორწინო, ფოტო თუ ტელე გადაღებებისთვის, პოდიუმისთვის, საქმიანი შეხვედრისა და სხვა ღონისძიებებისთვის).

კრედიტები: 54

სწავლის ხანგრძლივობა: 42 კვირა

სწავლის წინაპირობა: საბაზო განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში/Basic Vocational Qualification in Hair And Beauty Services

კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ: პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია და მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორენოვან დიპლომს, დანართით.

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- გააკეთოს წარბებისა და წამწამების კორექცია;
- შეარჩიოს/შეასრულოს მაკიაჟის ტიპი;
- შეასრულოს დღის, საღამოს, საქორწინო მაკიაჟი;
- შეასრულოს დეკოლტეს მაკიაჟი შეასრულოს გრიმი;
- შეასრულოს თვალის, წამწამის, წარბის, ტუჩის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია.

დასაქმების შესაძლებლობები თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, ვიზაჟის მომსახურების პროფილით, შესაძლებელია დასაქმდეს სილამაზის სალონებში, თეატრში, ტელე, კინო, ფოტო სტუდიებსა და სამოდელო სააგენტოებში., ასევე შესაძლებელია დასაქმება თვითდასაქმების ფორმით.

ჩართული პარტნიორპროგრამის განხორციელებაში ორი/პრაქტიკის ორგანიზაციები: შპს "ნატალი"

პროგრამა: სტილისტი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის მიზანი: მოამზადოს ფართო პროფილის პარიკმახერია, რომელიც ფლობს, როგორც ქალისა და მამაკაცის ვარცხნილობებს, ისე შეღებვის ხელოვნებას.

კრედიტები: 58

სწავლის ხანგრძლივობა: 43 კვირა

სწავლის წინაპირობა: საბაზო განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში/Basic Vocational Qualification in Hair And Beauty Services

კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ: პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია და მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორენოვან დიპლომს, დანართით.

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ◆ პალიტრის კლასიფიცირება და სუბსტრაქტული სქემით ძირითადი ფერების ფორმირება
- ◆ შეასრულოს თმის შეღებვა და გაღიავება
- ◆ შეჭრას თმა
- ◆ შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება
- ◆ შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები
- ◆ შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
- ◆ შეასრულოს თმის სპა პროცედურები.

დასაქმების შესაძლებლობები სილამაზის სალონებსა და სტუდიებში, ესთეტიკის ცენტრებში, თეატრებსა და ტელევიზიებში. გამოცდილი სპეციალისტები თავად ასწავლიან საპარიკმახერო საქმეს, ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებსა და მასტერ-კლასებს. პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

ჩართული პარტნიორპროგრამის განხორციელებაში ორი/პრაქტიკის ორგანიზაციები: შპს "ნატალი"

პროგრამა: კანისა მოვლა და სპა პროცედურები

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის მიზანი: მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით უზრუნველყოფენ მომხმარებლის, ასევე სილამაზისა და ტურიზმის ინდუსტრიების თანამედროვე ბაზრების მოთხოვნების გათვალისწინებით, სხეულისა და კანის მოვლის პროცედურების განხორციელებას

კრედიტები: 59

სწავლის ხანგრძლივობა: 43 კვირა

სწავლის წინაპირობა: საბაზო განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში/Basic Vocational Qualification in Hair And Beauty Services

კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ: პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია და მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორენოვან დიპლომს, დანართით.

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ◆ შეასრულოს კანის წმენდის პროცედურა;
- ◆ შეასრულოს მასაჟის შემდეგი პროცედურები: კლასიკური კოსმეტიკური, პლასტიკური, ჟაკეს მეთოდით, ვაკუუმ-მასაჟი;
- ◆ შეასრულოს დარსონვალის აპარატის გამოყენებით კოსმეტიკური პროცედურები;
- ◆ შეასრულოს ეპილაციის შემდეგი პროცედურები: ბიო, ლაზერული, ფოტო და ნემსის განოყენებით ეპილაცია;
- ◆ ჩაატაროს ჰიდროპროცედურა;
- ◆ ჩაატაროს თალასო და პელოიდოთერაპია;
- ◆ მართოს საუნის პროცედურა.

დასაქმების შესაძლებლობები სილამაზისა და ესთეტიკის ცენტრებსა და სალონებში, სპა, ფიტნეს და სამედიცინო ცენტრებში, კოსმეტიკურ კაბინეტებსა და სპა-სალონებში, ბალნეოლოგიურ და სპა სასტუმროებში. პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

ჩართული პარტნიპროგრამის განხორციელებაში ორი/პრაქტიკის ორგანიზაციები: შპს "ნატალი"

პროგრამა: ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წარმატებით ფლობენ ფრჩხილის მოვლის პროცედურებსა და ტექნოლოგიებს (მანიკიური, პედიკიური, ფრჩხილის დეკორატიული გაფორმება და სხვა).

კრედიტები: 51

სწავლის ხანგრძლივობა: 38 კვირა

სწავლის წინაპირობა: საბაზო განათლება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში/Basic Vocational Qualification in Hair And Beauty Services

კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ: პროგრამით

გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია და მიიღებენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორენოვან დიპლომს, დანართით.

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ◆ დაამუშაოს ხელისა და ფეხის ფრჩხილი
- ◆ დაამუშაოს ფეხის ქუსლები, კოჟრები, გარქოვანებული კანი და ნუნები
- ◆ შეასრულოს ფრჩხილების აკრილით და გელით დაგრძელება-გაფორმება
- ◆ შეასრულოს ფრჩხილის გამაგრება აკრილითა და გელით
- ◆ შეასრულოს ფრჩხილების გაფორმება თვლებითა და დამატებითი აქსესუარებით
- ◆ შეასრულოს ფრჩხილის გუაშით, აკრილის საღებავებით მოხატვა
- ◆ შეასრულოს ხელის (მაჯის) და ფეხის (ტერფის) მასაჟი და სპა პროცედურები.

დასაქმების შესაძლებლობები სილამაზისა და ესთეტიკის ცენტრებსა და სალონებში, „ნაილ ბარებსა“ და „ნაილ არტ“ ფრჩხილის მოვლის სპეციალიზებულ სალონებში. პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

ჩართული პარტნიპროგრამის განხორციელებაში ორი/პრაქტიკის ორგანიზაციები: შპს "ნატალი"

სასერთიფიკატო პროგრამები

პროგრამა: მანიკურ-პედიკური/Manicure-pedicure

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით ფლობენ ფრჩხილის მოვლის პროცედურებსა და ტექნოლოგიებს.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 78 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კლასიკური მანიკურის შესრულება;
- კლასიკური პედიკურის შესრულება;
- ნუნების დამუშავება;
- გელ-ლაქით „შილაკით“ მუშაობა.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: ესთეტიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა/Aesthetic cosmetology - facial skin care

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: კურსდამთავრებულმა შეძლოს ესთეტიკური კოსმეტოლოგიური მომსახურების საბაზისო პროცედურების, ასევე სახის და ზურგის არის კოსმეტოლოგიური მასაჟის დაგეგმვა-განხორციელება, მათდამი დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 188 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ◆ ესთეტიკური კოსმეტოლოგიური პროცედურების მომსახურება:
- ◆ კანის ზედაპირული წმენდა,
- ◆ კანის დატენიანება - გამკვრივება;
- ◆ კანის აღდგენა - გაახალგაზრდავება;
- ◆ სახის და ზურგის არის კოსმეტოლოგიური მასაჟი (კლასიკური, პლასტიკური, აპარატული).

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: ვიზაჟისტი/Make-up artist

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კლიენტის მოთხოვნის, მისი ინდივიდუალური თავისებურებების (სახის, თვალის ფორმა, ფერი, გარეგნულ იერი/ტიპაჟი) და უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით, წარმატებით შესარულებენ ვიზაჟის მომსახურებას.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 162 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ◆ დღის მაკიაჟის შესრულება;
- ◆ საღამოს მაკიაჟის შესრულება;
- ◆ საქორწინო მაკიაჟს შესრულება;
- ◆ გრიმის შესრულება ფოტოსესიისთვის;
- ◆ ტელეგრიმის შესრულება;
- ◆ ინდივიდუალური კონცეფციის შესაბამისად გრიმის გაკეთება.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ

აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: კანის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია/Aesthetic dermopigmentation of the skin

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზ N°71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, სახის ნაკვთების (თვალის, წამწამის, წარბის, ტუჩის) ესთეტიკური დერმოპიგმენტაციის ტექნიკის, ანუ ე.წ. პერმანენტული მაკიაჟის, მიკრობლეიდიდინგის ტექნიკის დაუფლება.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 6

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 125 საათი ,
აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ◆ ტუჩის ესთეტიკური დერმოპიგმენტაციის შესრულება;
- ◆ წარბის ესთეტიკური დერმოპიგმენტაციის შესრულება;
- ◆ თვალ-წამწამის ესთეტიკური დერმოპიგმენტაციის შესრულება.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: სპა თერაპისტი/Spa therapist

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ №71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით უზრუნველყოფენ, მომხმარებლისა და სილმაზისა ინდუსტრიის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, სხეულისა და კანის მოვლის პროცედურების განხორციელებას.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 144 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ◆ თალასოთერაპიის პროცედურების შესრულება;
- ◆ პელოიდოთერაპიის პროცედურების შესრულება;
- ◆ ჰიდროპროცედურების ჩატარების ტექნიკის შესრულება

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: წამწამების კორექცია/Lash - maker

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N^o71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომელიც შეძლებს წამწამების კორექციას სხვადასხვა მეთოდებით

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 5

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 72 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 15 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ◆ წამწამების კორექციის ტექნოლოგიების შესრულება;
- ◆ წამწამების კორექცია ლეროვანი დაგრძელების ტექნოლოგიით;
- ◆ წამწამის კორექცია ლამინირების ტექნოლოგიით;
- ◆ წამწამის კორექცია - დაგრძელება მოცულობითი ეფექტით;
- ◆ წამწამის დაგრძელება 2D ტექნოლოგიით;
- ◆ წამწამის დაგრძელება 3D ტექნოლოგიით.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.

პროგრამა: წარბების კორექცია/eyebrow - maker

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N^o71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომელიც შეისწავლის წარბის კორექციის სხვადასხვა ტექნოლოგიებს, როგორც კლასიკური ტექნიკით, ისე თანამედროვე ტექნიკით.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 42 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 12 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ◆ წარბის კორექცია პინცენტით;
- ◆ წარბის კორექცია ცვილით - წარბის ბიოეპილაცია;
- ◆ წარბის კორექცია ლამინირებით.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: ფრჩხილის დაგრძელება/Nail extension

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N°71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წარმატებით ფლობენ ფრჩხილის მოვლის პროცედურებსა და ტექნოლოგიებს.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 4

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 76 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ◆ ფრჩხილების აკრილით დაგრძელება-გაფორმება;
- ◆ ფრჩხილების გელით დაგრძელება-გაფორმება.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: სტილისტი/stylist

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N°71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წარმატებით ფლობენ საპარიკმახერო საქმის პროცედურებსა და ტექნოლოგიებს.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 150 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ქალისა და მამაკაცის თმის შეჭრის საბაზისო ტექნოლოგიებსა და სხვადასხვა სტილის ვარცხნილობების შესრულება.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პროგრამა: კოლორისტიკა/coloristics

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N°71

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წარმატებით ფლობენ კოლორისტიკის ტექნოლოგიებს.

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8

სასწავლო საათობრივი დატვირთვა: სულ 150 საათი , აქედან კვირეული დატვირთვა 20 სთ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ძირითადი ფერების ფორმირებ, პალიტრის წაკითხვა, საღებავების კლასიფიცირება; თმის შეღებვას სხვადასხვა საშუალებისა და ხერხების გამოყენება; თმის გაღიავენა; თმის ნაწილობრივ შეღებვა (მელირება)..

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი სერთიფიკატი.



პარტნიორები

ნატალი ჯგუფი წარმოადგენს მსოფლიოს ცნობილი ბრენდების ექსკლუზიურ წარმომადგენელს საქართველოსა და რეგიონებში.





სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის

1. სსსმ აპლიკანტები აკადემიაში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების არა უმეტეს 15%-ის ფარგლებში, რის შესახებაც განაცხადი კეთდება სარეგისტრაციო ბაზაში;
2. მიმღები კომისია განიხილავს, სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის საკითხს, რომელთაც აქვთ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დადასტურებულ სტატუსი და გავლილი აქვთ პროფესიული ორიენტაცია ან/და პრაქტიკული მოსინჯვა. კომისია ეცნობა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამზე ჩარიცხვის ან უარის თქმის შესახებ;



სტუდენტური სერვისები

პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება

კოლეჯი ხელს უწყობს დაინტერესებულ, წარმატებულ სტუდენტთა დასაქმებას, კარიერული განვითარების მიმართულების ტრენინგებში, პროექტებში მონაწილეობას.

დაცვა და უსაფრთხოება

კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის დაცვის მიზნით კოლეჯში გამოყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების სივრცე, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი ინვენტარითა და სამკურნალო საშუალებებით. კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და სისტემატიურად ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების შეფასებას.

სოციალური პასუხისმგებლობა

სოციალურად დაუცველი და ფინანსური პრობლემების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის იმოქმედებს წინასწარ განსაზღვრული საშელავათო თანხის გადახდის/გადანაწილების პირობები, რომლის განსაზღვრაც მოხდება ინდივიდუალურად, პროფესიულ სტუდენტთან გასაუბრების საფუძველზე.

არაფორმალური განათლება

არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურა

- ▶ არაფორმალური განათლების აღიარების დოკუმენტის შემუშავების მიზანია შპს საზოგადოებრივ კოლეჯში Natali Academy არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის ორგანიზებული წარმართვა და არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის (შემდეგში – მაძიებლისთვის), ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობა.
- ▶ არაფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და ამ წესის შესაბამისად, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, ასევე იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ნაწილში, რომელთა განხორციელების უფლება აკადემიას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



სტუდენტთა მიღება

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად. სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი. რეგისტრაციის შემდეგომი ეტაპია პლიკანტთა შერჩევა. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით. ინფორმაცია პროგრამაზე მიღების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, დაწესებულების ვებ გვერდზე.



საქართველოს მოქალაქეების მიერ პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის
მსურველმა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა
წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- პირადი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის განცხადება (დანართი 1), რომელსაც თან უნდა ერთვოდეს;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, ქართულ ენაზე თარგმნილი და ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტი); არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში წარმომადგენლის პირადობისა და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- წინმსწრები განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. განათლების საინფორმაციო სისტემის მიერ დადასტურების შემთხვევაში სავალდებულო არ არის;
- სახელის/გვარის შეცვლის შემთხვევაში, ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების შემთხვევაში, განათლების აღიარების დოკუმენტი ან ასლი;
- არაქართულენოვანი ან უცხოეთში მიღებული განათლების მქონე აპლიკანტების შემთხვევაში, ქართული ენის (A2 დონის) კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი ;
- წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ (დანართი 2). არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი თანხმობა.



საწარმოო პრაქტიკა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკას გადიან ნატალი აკადემიის სილამაზის სალონში. საწარმოო პრაქტიკა პროფესიული სტუდენტის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას რეალურ გარემოში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი თეორიული ცოდნა და გამომუშავებული კომპეტენციები. საწარმოო პრაქტიკი სდასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

- ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- სამუშაო გარემოს ორგანიზება;
- მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით ზედამხედველობის ქვეშ პროფესიული ამოცანების შესრულება;
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარება;

აკადემიის პერსონალი

აკადემიის პერსონალს გააჩნია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება. სისტემატურად ხორციელდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის საშუალებით. აკადემიაში შემუშავებულია პერსონლის შერჩევის გამჭვირვლე და სამართლიანი პროცედურა. ჩვენ ვამაყობთ რომ გვყავს გამოცდილი და პროფესიონალი დარგის მასწავლებლები. პერსონალის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე <http://www.nataliacademy.ge/geo/>

კონტაქტი

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71

ტელეფონი: 032 2 14 20 20

ელფოსტა: info@nataliacademy.ge

FACEBOOK: <https://www.facebook.com/NataliAcademy>

INSTAGRAM: https://www.instagram.com/natali_academy

TIKTOK: <https://www.tiktok.com/@nataliacademyofficial>